ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 5166/01
23/05/2019

5166-01-2-201905231023

შპს „მარჯანი 5"-ს
მის.: ქ. ზესტაფონი, უზნაძის ქ. N43

თქვენს მიერ 2019 წლის 25 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ "სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტთან" დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რაც საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ:

- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით საწარმოში დაგეგმილია ქვესადგურის განთავსება, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ქვესადგურის შესახებ დეტალური საპროექტო მონაცემები;
- დასაზუსტებელია სილიკომანგანუმის საწარმოდან ზედაპირული წყლის ობიექტამდე მანძილი;
- გზშ-ის ანგარიშში მითითებული ხმაურის დასაშვები ნორმები საჭიროებს დაზუსუტებას, კერძოდ, ხმაურის გავრცელების დასაშვები ნორმები მითითებული უნდა იყოს „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ" 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილების შესაბამისად. ამასთან დაზუსტებულ უნდა იქნეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- დასაზუსტებელია საწარმოს ტერიტორიაზე შემოსატანი ნედლეულის რაოდენობა;
- დასაზუსტებელია საწარმოში წარმოქმნილი წიდის საერთო მოცულობიდან რა რაოდენობის დაბრუნება იგეგმება ტექნოლოგიურ ციკლში და რა რაოდენობა იქნება გატანილი;
- დაზუსტებას საჭიროებს ასპირაციულ სისტემაში წარმოქმნილი მტვრის (ნარჩენი) კვლავწარმოებაში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, სადაც გათვალისწინებული იქნება მტვრის ნარჩენის ხელმეორედ გამოყენების სრული ტექნოლოგიური პროცესი.

აგრეთვე, გაცნობებთ რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის" მიერ პროექტთან დაკავშირებით სამინისტროში წარმოდგენილ იქნა წერილობითი შენიშვნები (იხილეთ დანართი). გთხოვთ, განიხილოთ წერილში მითითებული თითოეული საკითხი და მოგვაწოდოთ შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე